ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5376975

ნომერი: AR1817415

თარიღი : 14.04.2021

გაცემის თარიღი : 21.04.2021

გაცნობის თარიღი : 21.04.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, თორნიკე ერისთავის ქუჩა N29, კორპუსი N4; კორპუსი N5; კორპუსი N6; კორპუსი N7;

დამკვეთი-განმცხადებელი
- სოფიო ბერიშვილი პ/ნ 01008050958
- მ. კოსტავას #75

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

2021 წლის 14 აპრილის №AR1817415 განცხადებასთან დაკავშირებით დამატებით წარმოსადგენი დოკუმენტაციისა და ინფორმაციის განსაზღვრის შესახებ
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2021 წლის 14 აპრილის №AR1817415 განცხადებით მომართა სოფიო ბერიშვილმა და მოითხოვა ამავე სამსახურის 2020 წლის 21

სექტემბრის №5111019 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2020 წლის 21 სექტემბრის №5111019 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, გიორგი ჭყონდიდელის ქუჩა №113-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.12.12.003.094), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (სექტორი №2, სახლი №7) კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2020 წლის 21 სექტემბრიდან 2021 წლის 21 მაისის ჩათვლით.

განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2020 წლის 21 სექტემბრის №5111019 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში გამორჩენილია ავტოსადგომების ფართობის (1725.3 კვ.მ.) დაფიქსირება. მისივე განმარტებით, აღნიშნული ავტოსადგომები შეთანხმებულია №5 და №6 სახლების საპროექტო დოკუმენტაციით.

სამსახურმა წარმოდგენილი და შეთანხმებული საპროექტო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ წინამდებარე განცხადებით მოთხოვნილ ავტოსადგომების ფართობში (1725.3 კვ.მ.) ავტოსადგომების ფართობებთან ერთად შეყვანილია დამხმარე (52.6 კვ.მ), სარდაფის (31.5 კვ.მ.) და კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობები (151.6 კვ.მ.), თუმცა სამსახურის 2020 წლის 21 სექტემბრის №5111019 ბრძანებაში მითითებულ უნდა იქნას მხოლოდ ავტოსადგომების (580.4 კვ.მ.) და მათთან მისასვლელი სავალი ნაწილის (909.2 კვ.მ) ფართობები. რაც შეეხება -3.10 და -4.10 ნიშნულის გეგმებზე არსებულ სხვა ფართობებს, შესაბამისად უნდა იქნას დაფიქსირებული სამსახურის 2020 წლის 07 აგვისტოს №5056754 და 2019 წლის 07 ნოემბრის №4741236 ბრძანებებში. ასევე, წინამდებარე განცხადებაზე წარმოდგენილ 2019 წლის 07 ნოემბრის №4741236 ბრძანებით შეთანხმებულ -3.10 ნიშნულის გეგმაზე (№5 სახლი) დაემატა დამხმარე ფართობი 52.6 კვ.მ, რომელიც სამსახურის 2019 წლის 07 ნოემბრის №4741236 ბრძანებაში (№5 სახლი) ასახული არ არის. ხოლო, წარმოდგენილ მე-6 სახლის გეგმაზე შეცვლილია კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი (77.6 კვ.მ-ის ნაცვლად დაფიქსირებულია 77.8 კვ.მ.), ამასთან, ორივე (მე-5 და მე-6 სახლების) გეგმებზე, ექსპლიკაციებში დატანილი კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობები არ შეესაბამება რეალურ ფართობებს (თითოეულს გეგმაზე, კიბის უჯდერისა და სადარბაზოს ფართობზე საჭიროა კედლის შიდა კონტურის შესაბამისი ფართობის დატანა და ჯამური მაჩვენებელის ექსპლიკაციაში მითითება). აღნიშნული გამოიწვევს კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობის ცვლილებას სამსახურის 2020 წლის 07 აგვისტოს №5056754 (მე-6 სახლი) და 2019 წლის 07 ნოემბრის №4741236 (მე-5 სახლი) ბრძანებებში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83-ე მუხლის თანახმად, თუ განმცხადებელი ადმინისტრაციულ ორგანოს არ წარუდგენს კანონით ან მის საფუძველზე გამოცემული კანონქვემდებარე აქტით გათვალისწინებულ რაიმე დოკუმენტს ან სხვა ინფორმაციას, რაც აუცილებელია საქმის გადაწყვეტისათვის, ადმინისტრაციული ორგანო განმცხადებელს განუსაზღვრავს ვადას, რომლის განმავლობაშიც მან უნდა წარადგინოს დამატებითი დოკუმენტაცია ან ინფორმაცია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დამატებითი დოკუმენტაციის წარმოდგენა.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 83–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაევალოს განმცხადებელს 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში:

1.1 დააზუსტოს მოთხოვნა სამსახურის 2020 წლის 21 სექტემბრის №5111019 ბრძანებაში დასაფიქსირებელი ავტოსადგომის ფართობთან დაკავშირებით.

1.2 დააზუსტოს მოთხოვნა სამსახურის 2020 წლის 07 აგვისტოს №5056754 ბრძანებაში კიბის უჯრედისა და სადარბაზოს და საერთო ფართობებთან დაკავშირებით.

1.3 დააყენოს მოთხოვნა სამსახურის 2019 წლის 07 ნოემბრის №4741236 ბრძანებაში დამხმარე ფართობის 52.6 კვ.მ-ის დამატებასთან და კიბის უჯრედისა და სადარბაზოს და საერთო ფართობების დაზუსტებასთან დაკავშირებით.

1.4 წარმოადგინოს გასწორებული მე-5 სახლის -3.10, მე-6 სახლის -4.10 ნიშნულების გეგმები და გაერთიანებული სქემა, რომლებიც შესაბამისობაში იქნება ერთმანეთთან (სხვა დოკუმენტაციის წარმოდგენა საჭირო არ არის).

2. ბრძანების პირველი პუნქტის შეუსრულებლობის შემთხვევაში, 2021 წლის 14 აპრილის №AR1817415 განცხადება დარჩეს განუხილველი.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის

წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.